

საერთაშორისო კონფერენცია

შავი ზღვა როგორც ლიტერატურული და კულტურული სივრცე

პროგრამული ანგარიში

2018 წლის 25-27 ოქტომბერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავი ზღვა როგორც ლიტერატურული და კულტურული სივრცე“. თავდაპირველად, კონფერენციაში მონაწილეობაზე განაცხადი გააკეთა 63 მეცნიერმა, მათგან 32 მეცნიერმა ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან. საბოლოოდ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 37 ქართველმა და 22 უცხოელმა მეცნიერმა საფრანგეთიდან, გერმანიიდან, შვეიცარიიდან, თურქეთიდან, საბერძნეთიდან, ბულგარეთიდან, რუმინეთიდან, რუსეთიდან.

კონფერენცია გაიხსნა 25 ოქტომბერს, 09.30 სთ-ზე. გახსნას ესწრებოდნენ საფრანგეთის საელჩოს პირველი მრჩეველი, ბატონი ერიკ ტოზატი, საფრანგეთის საელჩოსთან არსებული საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის საუნივერსიტეტო და სამეცნიერო თანამშრომლობის ატაშე, ქალბატონი ელეონორ გარნიე, საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის ლინგვისტური და საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი, ქალბატონი ქეთევან ქურციკიძე.

კონფერენცია გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიგა ზედანიამ. სიტყვით გამოვიდნენ ბატონი ერიკ ტოზატი, პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის *რომანული ურთიერთგაგება. ინტერტექსტუალური დიალოგი* დირექტორი, პროფესორი მზალო დოხტურიშვილი, პროექტის კოორდინატორი, შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ბელა წიფურია.

იმავე დღეს, 19 სთ-ზე გაიმართა ოფიციალური მიღება. სიტყვით გამოვიდნენ უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიგა ზედანია, კონფერენციის იდეის ავტორი, ექსი-მარსელის (საფრანგეთი) უნივერსიტეტის პროფესორი, ალექსი ნუსელოვიჩი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ბერლინის ლიტერატურისა და კულტურის კვლევების ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი, ბატონი ზაალ ანდრონიკაშვილი, მწერალი და მთარგმნელი თურქეთიდან, ფარნა-ბექა ჭილაშვილი (ფაჰრეთინ ჩილოღლუ), რომლებმაც ისაუბრეს კონფერენციის მნიშვნელობაზე. ამავე საღამოს გაიმართა ჟურნალ EISH-ის (ინტერდისციპლინური კვლევები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში) მე-5 ნომრის პრეზენტაცია, რომელშიც დაბეჭდილია 2017 წელს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „21-ე საუკუნის 21 გამოწვევა: ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები“ მასალები. უნივერსიტეტის სტუდენტებმა და სკოლის მოსწავლეებმა კონფერენციის მონაწილეების საპატივცემულოდ გამართეს 20 წუთიანი კონცერტი.

კონფერენციაზე მოსმენილ იქნა 6 პლენარული მოხსენება (ალექსი ნუსელოვიჩი, მარი-ვრინა ნიკოლოვი, მეთინ ეკიჩი, იაშარ ეიუპ ოუზვერენი, ზაალ ანდრონიკაშვილი, ბელა წიფურია). სამი დღის განმავლობაში გაიმართა სამ-სამი პარალელური სესია, მოსმენილ იქნა 49 მოხსენება.

კონფერენციას მიემდგვნა ზღვის თემაზე შექმნილი ნახატებისა და ფოტოების გამოფენა. ფოტოების ერთ-ერთი ავტორი გახლდათ თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტის პროფესორი ელენი ჟინუ, რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში იმყოფებოდა ერასმუსის აკადემიური მობილობის ფარგლებში.

26 ოქტომბერს გაიმართა მრგვალი მაგიდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც მოწვეულმა სტუმრებმა, ასევე ქართველმა მეცნიერებმა. ბულგარეთის აკადემიის პროფესორის, იორდან ლიუცკანოვის წინადადების საფუძველზე გადაწყდა, იგივე თემატიკაზე მორიგი კონფერენცია ჩატარდეს 2020 წლის მარტში ბულგარეთში. მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა იმსჯელეს აგრეთვე 2019 წელს „ჰორიზონტი 2020“ კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონსორციუმის შექმნისა და სავარაუდო თემატიკის შესახებ. აღნიშნულის თაობაზე ქართველი მეცნიერების მორიგი შეკრება გაიმართა 31 ოქტომბერს. შეკრებაზე გადაწყდა დეკემბრის ბოლოსთვის პროექტის კონცეფციის შემუშავება და სავარაუდო თემატიკის ირგვლივ ბიბლიოგრაფიის შედგენა.

კონფერენცია დაიხურა 27 ოქტომბერს. კონფერენციის მონაწილეებს გადაეცათ მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები, ხოლო უცხოელ მეცნიერებს - სამახსოვრო საჩუქრები: საქართველოსა და ქართული კულტურის ამსახველი ალბომები.

კონფერენციის დახურვას ესწრებოდნენ თბილისის იუნუს ემრეს ინსტიტუტის დირექტორი, სელჩუკ ქურშად ქოჯა, თბილისის იუნუს ემრეს ინსტიტუტის მასწავლებლები, ესრა იერლი კაია და ოზგე აქბაში.